7048	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში	0.0	0.0	0.0
70481	გამოყენებითი კვლევები საერთო ეკონომიკურ, კომერციულ და შრომით რესურსებთან დაკავშირებულ საქმიანობაში			

1	2	3	4	5
70482	გამოყენებითი კვლევები სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობაში, მეთევზეობასა და მონადირეობაში			
70483	გამოყენებითი კვლევები სათბობსა და ენერგეტიკაში			
70484	გამოყენებითი კვლევები სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობასა და მშენებლობაში			
70485	გამოყენებითი კვლევები ტრანსპორტის სფეროში			
70486	გამოყენებითი კვლევები კავშირგაბმულობის სფეროში			
70487	გამოყენებითი კვლევები სხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობაში			
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში			
705	გარემოს დაცვა	261.5	333.1	243.8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	261.5	300.8	243.8
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	32.3	0.0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა			
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა			
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში			
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში			
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,097.3	1,658.2	682.7
7061	ბინათმშენებლობა	240.6	17.5	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	30.0
7063	წყალმომარაგება	270.7	131.3	161.3
7064	გარე განათება	399.2	262.8	258.9
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში			
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,186.8	1,246.6	232.5
707	ჯანმრთელობის დაცვა	79.2	92.9	124.8
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
70711	ფარმაცევტული პროდუქცია			
70712	სხვა სამედიცინო პროდუქცია			
70713	თერაპიული დანიშნულების მოწყობილობები და აპარატები			
7072	ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება			
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება			
70723	სტომატოლოგიური მომსახურება			
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება			
7073	საავადმყოფოების მომსახურება	0.0	0.0	0.0
70731	ზოგადი პროფილის საავადმყოფოების მომსახურება			
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება			
70733	სამედიცინო ცენტრებისა და სამშობიარო სახლების მომსახურება			
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება			
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	79.2	92.9	124.8
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	807.6	417.7	776.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	120.4	67.7	93.4

1	2	3	4	5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	624.7	297.4	624.7
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	31.6	35.5	34.7
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	24.1	12.4	8.0
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში			
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	6.8	4.7	15.2
709	განათლება	780.7	2,031.6	1,490.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	432.8	668.2	909.8
7092	ზოგადი განათლება	347.8	1,363.4	450.9
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება			
70922	საბაზო ზოგადი განათლება			
70923	საშუალო ზოგადი განათლება			
7093	პროფესიული განათლება			
7094	უმაღლესი განათლება	0.0	0.0	0.0
70941	უმაღლესი პროფესიული განათლება			
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება			
7095	უმაღლესისშემდგომი განათლება			
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება			
7097	გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში			
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში			129.5
710	სოციალური დაცვა	343.3	560.8	208.3
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა			
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა			
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	45.8	47.8
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	25.0	23.0
7105	უმუშევართა სოციალური დაცვა			
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა			
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			
7108	გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში			
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	343.3	490.0	137.5
	სულ	11,276.6	9,893.7	7,688.0

7. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**დადგენილება №117**

ქ. ხოზი

2009 წლის 30 მარტი

**ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი.
2. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთები თანახმად დანართისა.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის №26 დადგენილება.
4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

/მ. ჭოხონელიძე/

**ქონების გადასახადის განაკვეთები ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე**

1. ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს:

ა) საქართველოს საწარმოსთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტს;

ბ) უცხოური საწარმოსთვის – საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონების – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და არამატერიალური აქტივების (მათ შორის იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქონების) საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტს;

გ) ორგანიზაციისთვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და არამატერიალური აქტივების, ან ამ ქონების ნაწილის, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის – წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტს;

დ) ფიზიკური პირისთვის – მის საკუთრებაში (გარდა ლიზინგით გაცემულისა) არსებული ან ლიზინგით აღებული უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობების, ან მათი ნაწილის), დაუმთავრებელი მშენებლობის ან/და იახტების (კატარღების) თვითმფრინავების, შვეულმფრენების, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივების (გარდა ბიოლოგიური აქტივებისა), დაუმონტაჟებელი მოწყობილობების და არამატერიალური აქტივების – გადასახადის წლიური განაკვეთის ოდენობა დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და შეადგენს:

დ.ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,1 პროცენტს;

დ.ბ) 100 000 ლარისა და მეტი შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1 პროცენტს;

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთი ერთ ჰექტარზე შეადგენს:

ა) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული კარგი ხარისხის მიწებისთვის – 33 ლარს;

ბ) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მწირი ხარისხის მიწებისთვის – 17 ლარს;

გ) ბუნებრივი სათიბებისთვის – 6 ლარს;

დ) გაკულტურებული სათიბებისთვის – 8 ლარს;

ე) ბუნებრივი სამოვრებისთვის – 3 ლარს;

ვ) გაკულტურებული სამოვრებისათვის – 4 ლარს.

3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი ტერიტორიული ზონირების შესაბამისი კოეფიციენტების მიხედვით განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

№	ზონების დასახელება	ტერიტორიული კოეფიციენტი	საბაზისო განაკვეთი 1 მ <sup>2</sup> -ზე (ლარებში)	წლიური გადასახადის განაკვეთი 1 მ <sup>2</sup> -ზე (3 ხ 4)
<b>I ზონა</b>				
1	ქ. ხობში ადმინისტრაციული შენობების, კულტურული დაწესებულებების, ქუჩების, სკვერების, მოედნების, გზაჯვარედინების, ინტენსიური სატრანსპორტო არტერიების (მაგისტრალები, სახელმწიფო გზები) მიმდებარე ტერიტორია. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინტენსიური სატრანსპორტო არტერიების (მაგისტრალები, სახელმწიფო გზები) მიმდებარე მიწის ნაკვეთები, შავი ზღვის სანაპირო ზოლი, სადაც შესაძლებელია სამრეწველო ობიექტების განლაგება.	1,5	0,24	0,36
<b>II ზონა</b>				
2	ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებისა და სოფლების ცენტრები	1	0,24	0,24
<b>III ზონა</b>				
3	ტერიტორიები, რომლებიც არ მოხვდნენ ზემოთ აღნიშნულ I და II ზონებში.	0,5	0,24	0,12

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**დადგენილება №118**

ქ. ხოზი

2009 წლის 30 მარტი

**ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა  
და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლები და მათი ოდენობა თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 თებერვლის №19 დადგენილება „ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

**მუხლი 1. ადგილობრივი მოსაკრებლები**

ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი ხოზის მუნიციპალიტეტის (შემდეგში – „მუნიციპალიტეტი“) ადგილობრივ ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისთვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისთვის.

**მუხლი 2. ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი**

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გაუქმებისა და მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს და იგი ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფიზიკურ და მის ტერიტორიაზე განლაგებულ იურიდიულ პირებზე.

2. ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდევინება ხორციელდება წინასწარ, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ გადამხდელისთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებამდე.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ, გარკვეული მომსახურების გაწევისთვის ადგილობრივი მოსაკრებელი გადაიხდევინება მომსახურების მთლიანად ან მისი ნაწილის მიღების შემდეგ, საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.

4. ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდევინება ხორციელდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

5. ადგილობრივი მოსაკრებლების თანხის აკუმულირება ხდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.

**მუხლი 3. ადგილობრივი მოსაკრებლის ამოღების უზრუნველყოფა**

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისმა სამსახურმა ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება შესაძლებელია უზრუნველყოს იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**მუხლი 4. შეღავათები ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე**

1. ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე შეღავათები დადგენილია კანონით და დაუშვებელია მათ გადახდაზე ინდივიდუალური სახის შეღავათების დადგენა.

2. საკრებულოს მიერ ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე შეღავათების დადგენა (გადახდისაგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება) დაიშვება გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით.

**მუხლი 5. ადგილობრივი მოსაკრებლები**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულია შემდეგი სახის ადგილობრივი მოსაკრებლები:

1. ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი:



ა) მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის.

2. ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი;

3. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;

4. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

**მუხლი 6. მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის**

1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) დაწყების ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

2. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ახალი ასაშენებელი ობიექტებისთვის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

3. მოსაკრებლის გადახდისგან თავისუფლდება სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა.

**მუხლი 7. სატენდერო მოსაკრებელი.**

1. სატენდერო მოსაკრებელს იხდის პრედენდენტი, რომელიც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას იღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

2. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**მუხლი 8. მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის**

1. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნის ნარჩენებს.

2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის ადგილობრივი მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) ერთ სულ მოსახლეზე თვეში 50 (ორმოცდაათი) თეთრი.

ბ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე 12 (თორმეტი) ლარი.

**მუხლი 9. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი**

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელია:

ა) პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას კაზინოებით (სამორინეებით), აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესით და ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას;

ბ) ლატარიის მომწოდებელი პირი (ორგანიზატორები), რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეროვნული ლატარიის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტებია:

ა) აზარტული და მომგებიანი თამაშებისთვის გამოყენებული სათამაშო მაგიდები, სათამაშო აპარატები;

ბ) ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროები (სპეციალურად მოწყობილი ადგილი, სადაც მოლარის ან/და სპეციალური აპარატის ან სხვა საშუალებით ხორციელდება ფსონის მიღება ან/და მოგების გაცემა);

გ) წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი;

დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა;

ე) ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) კაზინოს (სამორინე) თითოეულ სათამაშო მაგიდაზე – კვარტალში 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;

ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 600 (ექვსასი) ლარი.

გ) ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე – კვარტალში 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

დ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;

ე) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე – კვარტალში 12000 (თორმეტი ათასი) ლარი;

ვ) ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხის 10%.

4. იმ პირთათვის, რომლებმაც კანონით დადგენილი წესით აიღეს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 37-ე – 42-ე პუნქტებით გათვალისწინებული ნებართვები 2008 წლის 15 დეკემბრამდე, სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე მოქმედებს ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული მოსაკრებელი – კვარტალში 10000 (ათი ათასი) ლარი.

5. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირებას „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად უზრუნველყოფს შესაბამისი საგადასახადო ორგანო.

#### **მუხლი 10. პასუხისმგებლობა დადგენილების დარღვევისთვის**

დადგენილებით განსაზღვრული ნორმის დარღვევისთვის პირს შეიძლება დაეკისროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

#### **მუხლი 11. ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებულ სადაო საკითხთა გადაწყვეტის წესი**

1. ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებულ დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ათავისუფლებს გადამხდელს ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდისგან.

3. უკანონოდ ან კანონის დარღვევით შემოღებული ადგილობრივი მოსაკრებლის სახით გადახდილი თანხა გადამხდელს უბრუნდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთი თვის ვადაში.

#### **მუხლი 12. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

დადგენილებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს საკრებულოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**დადგენილება №119**

ქ. ხოზი

2009 წლის 30 მარტი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციისა და მოსაკრებლის ოდენობის დამტკიცების შესახებ“  
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 სექტემბრის №63 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციისა და მოსაკრებლის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 19 სექტემბრის №63 დადგენილების პრეამბულაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს“

2.. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

---

**დადგენილება №120**

**ხობი - ჭალადიდი**

**2009 წლის 19 მაისი**

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრთა საქმიანობის ანაზღაურების ოდენობისა და წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 27 ივნისის №99 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრთა საქმიანობის ანაზღაურების ოდენობისა და წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 27 ივნისის №99 დადგენილება.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას გამოთავისუფლებული სახსრების გადანაწილების მიზნით „ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №113 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის ერთი თვის ვადაში მომზადება.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

---

**დადგენილება №121**

**ხოზი - ქალაქი**

**2009 წლის 19 მაისი**

**„ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის №118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და აბაშის, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხოზის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის სამართლებრივი შენიშვნების საფუძველზე ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის №118 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**დადგენილება №122**

**ქ. ხოზი**

**2009 წლის 25 ივნისი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების  
გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და „ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 მაისის N 456 ბრძანების საფუძველზე, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესი“ (დანართი 1).
2. დამტკიცდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ცვლილების ცნობა“ (დანართი 2).
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი  
ასიგნების გადანაწილების წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 მაისის N 456 ბრძანების საფუძველზე.

2. წესი განსაზღვრავს ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის (შემდგომში - ადგილობრივი ბიუჯეტი) დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების მექანიზმს.

**მუხლი 2. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების ძირითადი პრინციპები**

1. ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების გადანაწილება მხარჯავ დაწესებულებებს შორის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გზით, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულო) დადგენილებით.

2. მხარჯავი დაწესებულებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომში - გამგებელი) ბრძანებით.

3. მხარჯავი დაწესებულებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილება უნდა განხორციელდეს წლიური საბიუჯეტო გადაწყვეტილებით დამტკიცებული ასიგნებების 5 პროცენტის ფარგლებში

4. მხარჯავი დაწესებულებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილება 2009 წელს შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნების 15 პროცენტის, ხოლო 2010 წელს - 10 პროცენტის ფარგლებში.

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა) უფლებამოსილია საკრებულოსთან შეთანხმებით, გამგებლის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით განახორციელოს ცვლილებები ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში (მათ შორის, ორგანიზაციული კოდის დამატება).

6. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგილობრივი ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ან ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს შესაბამისი დადგენილების ამოქმედებამდე, გამგებელი საკრებულოსთან შეთანხმებით უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წინა წლის ასიგნების 1/12-ის გადანაწილება განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად.

7. საკრებულოს მიერ დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური გადანაწილება ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებიდან ერთი თვის ვადაში დგება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ და საკრებულოსთან შეთანხმების შემდგომ მტკიცდება გამგებლის ბრძანებით.

8. ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალურ განწერაში შეიძლება განხორციელდეს კვარტალური გადანაწილება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ და მტკიცდება გამგებლის შესაბამისი ბრძანებით.

### **მუხლი 3. ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების გადანაწილების მოთხოვნის წარდგენა, განხილვა და შესრულება**

1. მოთხოვნა წლიური ადგილობრივი ბიუჯეტით მხარჯავი დაწესებულებისთვის დამტკიცებულ ასიგნებათა გადანაწილების თაობაზე, წერილობითი სახით წარედგინება გამგეობას იმ მხარჯავი დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერით, რომლისთვისაც არის მიკუთვნებული ეს გადასახდელები.

2. საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მხრიდან მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, იგი წინასწარ უნდა იქნეს შეთანხმებული დამფუძნებელთან.

3. მოთხოვნის წარმდგენ მხარჯავ დაწესებულებას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა წერილის შინაარსსა და ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების მიზანშეწონილობაზე.

4. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, მხარჯავი დაწესებულების მიერ წარდგენილ მოთხოვნაში მოყვანილ უნდა იქნეს სათანადო არგუმენტაცია ასიგნების გადანაწილების აუცილებლობაზე. ასევე, შესაბამისი დასაბუთება ასიგნების გადანაწილებისა და მასზე ვალდებულების აღების არარსებობის თაობაზე.



5. მხარჯავმა დაწესებულებამ, ასიგნების გადანაწილების შესახებ წარდგენილ მოთხოვნაზე გამგეობიდან პასუხის მიღებამდე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

6. წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას განიხილავს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა გამგებელს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი) ასიგნების გადანაწილების მიზანშეწონილობის თაობაზე.

7. გამგებლის თანხმობის შემთხვევაში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ცვლილებას (გამგებლის ბრძანების პროექტი) მხარჯავი დაწესებულებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი წლიური ასიგნების ფარგლებში თანხის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ.

8. გამგებლის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების მიზნით, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

9. წლიური ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებები ზუსტდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ცვლილების ცნობით“ (გეგმის ცვლილების ცნობა - დანართი 2). გეგმის ცვლილების ცნობა დგება ორ ეგზემპლარად, რომლის პირველი ეგზემპლარი რჩება გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის მხარჯავ დაწესებულებას.

10. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს საკრებულოს დადგენილების ან გამგებლის ბრძანების პროექტს ამ თანხის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით.

11. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გამგებლის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ადგილობრივი ბიუჯეტის ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში და გამგებლის მიერ დამტკიცებულ განწერაში ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პროცედურით.

12. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო სახსრები გამოიყო რომელიმე მხარჯავი დაწესებულების დამატებით დასაფინანსებლად, მხარჯავი დაწესებულების დაფინანსების წლიური გეგმის დაზუსტება და ასიგნების გაცემა ხორციელდება ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტის შემთხვევაში, გეგმის ცვლილების ცნობის საფუძველზე, შესაბამისი თანხით მცირდება ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა და

იზრდება წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული გასაცემლები.

**მუხლი 4. გამგეობის ანგარიშვალდებულება ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილებაზე**

1. ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებიდან 2 თვის ვადაში საკრებულოს წარედგინება გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განწერა.
2. ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილებაზე, შესაბამისი დოკუმენტაციით, ცნობის სახით საკრებულოს წარედგინება ერთი თვის ვადაში.
3. გამგებლის ბრძანებით ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახვის მიზნით სამი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასასრულისა უნდა წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით.
4. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემები უნდა იქნეს ასახული ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებისა და გამგეობის ანგარიშებში.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ცვლილების ცნობა**

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**

**გეგმის ცვლილების ცნობა N ---**

20\_\_ წლის \_\_ \_\_\_\_\_

-----  
 მხარჯავი დაწესებულების დასახელება, ორგანიზაციული კოდი

-----  
 ცვლილების საფუძველი (გამგებლის ბრძანება), თარიღი, ნომერი

-----  
 (ცვლილების შინაარსი)  
 -----

ორგანიზაციული კოდი	მხარჯავი დაწესებულების, პროგრამის, ღონისძიების დასახელება	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის დასახელება	ცვლილება (+ზრდა/-კლება) (ლარებში)							
			წლიური თანხა	მათ შორის: კვარტალების მიხედვით						
				I	II	III	IV			
სულ ჯამი										

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება
2. ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან
3. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა
4. დანარჩენი ცვლილება

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი /ხელმოწერა/

პასუხიმგებელი შემსრულებელი: /ხელმოწერა/“

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**დადგენილება №123**

ქ. ხოზი

2009 წლის 25 ივნისი

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და “ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 1 აგვისტოს N12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი“ (დანართი 1).
2. დამტკიცდეს ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა (დანართი 2).
3. დამტკიცდეს ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა აქტიური ნაწილის (მანქანა-დანადგარებისა და სხვა) ღირებულების დადგენის აქტის ფორმა (დანართი 3).
4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ეს წესი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის პროცედურებს.

### **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

1. ქონება – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონება;
2. ჩამოსაწერი ქონება – ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონება;
3. დაწესებულება – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი;
4. საინვენტარიზაციო კომისია – ქონების ინვენტარიზაციის მიზნით დაწესებულებაში შექმნილი კომისია.

### **მუხლი 3. ქონების ინვენტარიზაციაზე უფლებამოსილი ორგანო**

1. თვითმმართველი ერთეულის ქონების ინვენტარიზაციას ახორციელებს თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.
2. თვითმმართველობის ორგანოთა მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების ინვენტარიზაციას ახორციელებს შესაბამისი იურიდიული პირი, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მონაწილეობით.

### **მუხლი 4. ინვენტარიზაციის ჩატარება**

1. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ინვენტარიზაციის ჩატარების რაოდენობას და მათი ჩატარების თარიღებს განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა).
2. დაწესებულებაში ინვენტარიზაცია ტარდება „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1996 წლის 1 აგვისტოს N12-03 ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად.

## **მუხლი 5. საინვენტარიზაციო კომისია**

1. საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში - კომისია) იქმნება დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.
3. კომისია შედგება: თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, ბუღალტრისა (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და სხვა წევრებისგან.
4. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის წევრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დარგის სპეციალისტები.
5. კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით ინვენტარიზაციის ჩატარება დაუშვებელია.
6. კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობისას ასაბუთებს მისი ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ამზადებს ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციას.
7. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
8. კომისიის მუშაობა ფორმდება ოქმით, რომელშიც აისახება ინვენტარიზაციის შედეგები.
9. კომისიის სხდომის ოქმი მტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ინვენტარიზაციის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა.

## **მუხლი 6. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი**

1. კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგენს ჩამოსაწერი ქონების ნუსხას.
2. დაწესებულების ხელმძღვანელი გაინიხილავს ჩამოსაწერი ქონების ნუსხას და კომისიის დასკვნისა და აუდიტორის დასკვნის საფუძველზე ადგენს ქონების ჩამოწერის აქტს.
3. ქონების ჩამოწერის აქტი უნდა შეესაბამებოდეს „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 28 ივლისის N511 ბრძანების მოთხოვნებს.
4. ქონების ჩამოწერის აქტს დაწესებულების ხელმძღვანელი შესათანხმებლად წარუდგენს თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.
5. თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, ქონების ჩამოწერის აქტი აღსასრულებლად ეგზავნება თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს.
6. მცირეფასიანი ქონების ჩამოწერის შემთხვევაში, თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობა სავალდებულო არ არის.

## **მუხლი 7. ჩამოწერილი გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების განადგურება**

1. ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენებაც შეუძლებელია, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილების

საფუძველზე ექვემდებარება განადგურებას.

2. ქონების განადგურების პროცესს ესწრება შესაბამისი დაწესებულების უფლებამოსილი პირი და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი.

3. ქონების განადგურებას ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს დაწესებულება, რომელსაც ეკუთვნის გასანადგურებელი ქონება.

4. ქონება უნდა განადგურდეს ამ მიზნისთვის გამოყოფილ ადგილებში, ან ნაგავსაყრელებზე.

5. ქონების განადგურების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ პირები, რომელნიც ესწრებიან განადგურების პროცესს.

6. ქონების განადგურებისთვის აუცილებელი ხარჯი ფინანსდება შესაბამისი დაწესებულების მიერ.

7. განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი.

#### **მუხლი 8. ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია**

ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა პასიური ნაწილის**  
**(შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ღირებულების დადგენის აქტი**

20 --- წლის ----- მდგომარეობით

(ობიექტი, ორგანიზაციის, საწარმოს დასახელება)

N	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი, გრნ-გრფ)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997წ ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	სამორტუბაციო ანარიცხის ნორმა ძირითადი ფონდის სრულ აღდგენაზე	ფიზიკური ცვეთა			ნარჩენი საბალანსო ღირებულება		
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის %	საბოლოო ფაქტიური მდგომარეობით %	საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით %	ლარი	ლარი	აშშ დოლარი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

კომისიის წევრები: 1. ----- ვამტკიცებ: ----- ვადასტურებ: -----  
 2. ----- თანამდებობის პირი ----- აუდიტორი -----  
 3. ----- ბ.ა. ----- ბ.ა. -----

საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე



**ჩამოსაწერ ძირითად საშუალებათა აქტიური ნაწილის  
 (მანქანა-დანადგარებისა და სხვა) ღირებულების დადგენის აქტი**

20 --- წლის ----- მდგომარეობით

(ობიექტი, ორგანიზაციის, საწარმოს დასახელება)

N	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი, გრ5-გრ9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997წ ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	სამორტიზაციო ანარეზის ნორმა ძირითადი ფონდის სრულ აღდგენაზე	ფიზიკური ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება		
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის %	საბოლოო ფაქტური მდგომარეობით %	საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით %	ლარი	ლარი	აშშ დოლარი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	

კომისიის წევრები: 1. ----- გამტკიცებ: ----- ვადასტურებ: -----  
 2. ----- თანამდებობის პირი ----- აუდიტორი -----  
 3. ----- ბ.ა. ----- ბ.ა. -----

საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

---

**დადგენილება №124**

**ქ. ხოზი**

**2009 წლის 25 ივნისი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების  
(გარდა მიწისა) სარგებლობის ფორმით გადაცემის საწყისი წლიური  
ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 28 სექტემბრის №1-1/1476 ბრძანების შესაბამისად, ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების (გარდა მიწისა) სარგებლობაში გადაცემისას, საწყისი წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს „სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის №671 ბრძანებულების შესაბამისად ან/და დამოუკიდებელი აუდიტის (შემფასებელი ექსპერტი) სათანადო დასკვნის საფუძველზე განსაზღვრული ქონების საბაზრო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ჭოხონელიძე

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

**დადგენილება №125**

ქ. ხობი

2009 წლის 25 ივნისი

**„ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №113 დადგენილებაში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის №387 განკარგულებისა და „საჯარო სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 8 მაისის №347 განკარგულების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადიდდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში შემოსავლები გრანტებიდან 260.0 ათასი ლარით (მათ შორის: სპეციალური ტრანსფერები - 260.0 ათასი ლარი) და დამტკიცდეს 1023.0 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 763.0 ათასი ლარისა.

2. დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად გაიზარდოს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები 260.0 ათასი ლარით და დამტკიცდეს 7948.0 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 7688.0 ათასი ლარისა.

3. სპეციალური ტრანსფერებიდან მიღებული თანხა - 260.0 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯები 60.0 ათასი ლარი. (მათ შორის: წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 60.0 ათასი ლარი).

ბ) საგანმანათლებლო ღონისძიებები 200.0 ათასი ლარი (მათ შორის: სოფ ზუბის საბაზო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 200.0 ათასი ლარი).

**4. დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე გაიზარდოს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები 260.0 ათასი ლარით და დამტკიცდეს 7948,0 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 7688,0 ათასი ლარისა.**

**5. განხორციელებული დამატებების გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №113 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:**

**ა) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს 6792.0 ათასი ლარით თანახმად №1 დანართისა. მათ შორის:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 6792.0 ათასი ლარით. (მათ შორის: ბიუჯეტის გადასახადები - 5387.0 ათასი ლარი; გრანტები - 1023.0 ათასი ლარი (აქედან: მიზნობრივი ტრანსფერი - 320.0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 703.0 ათასი ლარი); სხვა შემოსავლები - 382,0 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 4490.2 ათასი ლარით;

გ) საოპერაციო სალდო - 2301.8 ათასი ლარით;

დ) არაფინანსური აქტივების ცვლილება - 2637.8 ათასი ლარით (მათ შორის ზრდა (შემენა) - 3457.8 ათასი ლარით; კლება (გაყიდვა) - 820.0 ათასი ლარით);

ე) მთლიანი სალდო - -336.0 ათასი ლარით;

ვ) ფინანსური აქტივების ცვლილება - -336.0 ათასი ლარით, წლის დასაწყისისათვის არსებული სახსრებით მიმართული ხარჯების დასაფარავად;

**ბ) დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

2. ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები განისაზღვროს 7948.0 ათასი ლარით თანახმად №2 დანართისა. მათ შორის:

ა) შემოსავლები - 6792.0 ათასი ლარით

ბ) არაფინანსური აქტივების კლება - 820.0 ათასი ლარით

გ) ფინანსური აქტივების კლება - 336.0 ათასი ლარით

დ) ხარჯები - 4490.2 ათასი ლარით

ე) არაფინანსური აქტივების ზრდა - 3457.8 ათასი ლარით.

**გ) დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია თანახმად №5 დანართისა. მათ შორის:

- ა) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები - 1564.5 ათასი ლარით;
- ბ) თავდაცვის ხარჯები - 77.3 ათასი ლარით;
- გ) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 330.5 ათასი ლარით
- დ) ეკონომიკური საქმიანობა - 2189.9 ათასი ლარით;
- ე) გარემოს დაცვა - 243.8 ათასი ლარით
- ვ) საბინაო კომუნალური მეურნეობა - 742.7 ათასი ლარით
- ზ) ჯანმრთელობის დაცვა - 124.8 ათასი ლარით
- თ) დასვენება კულტურა რელიგია - 776.0 ათასი ლარით
- ი) განათლება - 1690.2 ათასი ლარით
- კ) სოციალური დაცვა - 208.3 ათასი ლარით

**დ) დადგენილების დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

*„დანართი №1*  
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 2009 წლის 6 თებერვლის №113 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი**

დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის გეგმა
<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>	<i>4</i>
<b>შემოსავლები</b>	<b>8 277,8</b>	<b>6 133,9</b>	<b>6 792,0</b>
გადასახადები	7 920,4	4 636,6	5 387,0
გრანტები	63,9	1 088,0	1 023,0
სხვა შემოსავლები	293,5	409,3	382,0
<b>ხარჯები</b>	<b>3 153,4</b>	<b>4 363,2</b>	<b>4 490,2</b>
შრომის ანაზღაურება	802,8	846,7	1 234,5
საქონელი და მომსახურება	408,9	1 000,8	871,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	1 452,4	1 907,8	1 900,4
გრანტები	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	422,5	607,9	333,1
სხვა ხარჯები	66,7	0,0	151,2
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>5 124,4</b>	<b>1 770,7</b>	<b>2 301,8</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1 803,7</b>	<b>5 287,9</b>	<b>2 637,8</b>

1	2	3	4
ზრდა	8 123,3	5 530,5	3 457,8
კლება	6 319,6	242,6	820,0
<b>მილიანი სალდო</b>	<b>3 320,8</b>	<b>-3 517,2</b>	<b>-336,0</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>3 320,8</b>	<b>-3 517,2</b>	<b>-336,0</b>
ზრდა	3 320,8	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები			
სესხები	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	3 320,8		
კლება	0,0	3 517,2	336,0
ვალუტა და დეპოზიტები			
სესხები	0,0	3 517,2	336,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
ზრდა	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0
საგარეო			
საშინაო	0,0	0,0	0,0
<b>ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

ე) დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2009 წლის 6 თებერვლის №113 დადგენილებისა

ხოზის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის  
შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის გეგმა
<b>შემოსულობები</b>	<b>14 597,4</b>	<b>9 893,7</b>	<b>7 948,0</b>
შემოსავლები	8 277,8	6 133,9	6 792,0
არაფინანსური აქტივების კლება	6 319,6	242,6	820,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	3 517,2	336,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0
<b>გადასახდელები</b>	<b>11 276,6</b>	<b>9 893,7</b>	<b>7 948,0</b>
ზარჯები	3 153,4	4 363,2	4 490,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 123,3	5 530,5	3 457,8
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)		0,0	0,0
ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>3 320,8</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>

ვ) დადგენილების დანართი №3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №3

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2009 წლის 6 თებერვლის №113 დადგენილებისა

ხოზის მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსულობების კოდები	დასახელება	2007 წლის ფაქტი	2008 წლის ფაქტი	2009 წლის გეგმა
1	2	3	4	5
	შემოსულობები	14 597,4	9 893,7	7 948,0
	შემოსავლები	8 277,8	6 133,9	6 792,0
	არაფინანსური აქტივების კლება	6 319,6	242,6	820,0
	ფინანსური აქტივების კლება	0,0	3 517,2	336,0
	ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0
	შემოსავლები	8 277,8	6 133,9	6 792,0
11	გადასახადები	7 920,4	4 636,6	5 387,0
11111	საშემოსავლო გადასახადი	3 764,0	0,0	
11311	ქონების გადასახადი	4 142,1	4 634,5	5 387,0
1131101	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 919,3	3 219,7	3 920,0
1131102	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)			
1131103	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,6	10,5	10,0
	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	93,0	1 404,2	100,0
	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 124,1		1 357,0
	სხვა გადასახადები ქონებაზე			
116	სხვა გადასახადები	14,4	2,2	
13	გრანტები	63,9	1 088,0	1 023,0
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	
132	უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები		0,0	
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	63,9	1 088,0	1 023,0
	გამოთანაბრებითი ტრანსფერი	0,0	0,0	0,0
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0,0	220,0	320,0
	სპეციალური ტრანსფერი	63,9	868,0	703,0
	მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	63,9	868,0	
	მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები			14,0
	მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები			

1	2	3	4	5
	მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები			689,0
<b>14</b>	<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>293,5</b>	<b>409,3</b>	<b>382,0</b>
<b>141</b>	<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>91,8</b>	<b>182,3</b>	<b>140,0</b>
	პროცენტები	0,0	39,2	
	დივიდენდები	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	
	რენტა	91,8	143,1	140,0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	86,7	141,0	140,0
14153	მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე			
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5,1	2,1	
14159	სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0	0,0	
<b>142</b>	<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>60,3</b>	<b>100,5</b>	<b>132,0</b>
	<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>17,8</b>	<b>31,0</b>	<b>43,0</b>
	საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი			
	სანებართვო მოსაკრებელი	0,0	0,1	
	სახელმწიფო ბაჟი	0,0	0,1	
	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,0	
	სატენდერო მოსაკრებელი	10,6	5,6	3,0
	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,0	
	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,6	18,6	24,0
